ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალქალაქის
მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ116. 116230601**
თარიღი:**01/03/2023**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების

დოკუმენტის მომზადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსის“ 54-ე მუხლის 1 პუნქტის ე.ე. ქვეპუნქტისა და საქართველოს

საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

   ა) ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების სამუშაო ჯგუფი დანართი 1-ის შესაბამისად;

   ბ) 2023-2024 წლების მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2-ის შესაბამისად;

   გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციის ნუსხა 3- მე-8 დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს შეადგინოს:

- შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
- წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები.

3. დაევალოს მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
- კითხვარის შედგენა მოქალაქეთა გამოკითხვისათვის;
- ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების უზრუნველსაყოფად;
- რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

4. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2024- 2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ახალქალაქი, მაშტოცის ქ. № 110).

მელქონ მაკარიან

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი